სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
65451529573224

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N240094719

რეგისტრაციის თარიღი
26.01.2024 წ

ნოტარიუსი: ელენა გელაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ალეკო გობრონიძის ქუჩა 1 ბ, სართული 2, №6
ტელეფონი: +99598101011

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდაექვს იანვარს, მე, ნოტარიუსს ელენა გელაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, მეტროს სადგურ „ახმეტელი"-დან მუხიანში მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, სართული #2, ფართი #6, მომმართა შპს "ოსტატი" -ის (ს/კ400145758) დირექტორმა (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი 06/06/2023წ., განცხადების # B23079972) დავით ტაბატაძემ (დაბ. 26.09.1984წ, პირადი # 56001003859, გაცხ.მის: ქ. თბილისი, მუხიანი, მ/რ4, კ.9, ბინა 34). მან განაცხადა, რომ სურს, შეადგინოს მინდობილობა, რომელიც დადასტურდება სანოტარო წესით. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი, ზემოთ მითითებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად დავით ტაბატაძემ მომმართა. დირექტორის უფლებამოსილება შემოწმებულია საზოგადოების წესდებით, დამოწმებული საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, დამოწმების თარიღი 25.05.2015, შტამპი 324 და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი 06/06/2023წ., განცხადების # B23079972, რომელთა ასლებიც თან ერთვის წინამდებარე მინდობილობას. ვადასტურებ, რომ მიმნდობის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე შევამოწმე მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობა, რომელიც მან თვითონ წაიკითხა. მიმნდობმა მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას. მიმნდობმა ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მინდობილობა

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდაექვს იანვარს, შპს "ოსტატი" -ის (ს/კ 400145758) დირექტორი დავით ტაბატაძე- მიმნდობი, დავით ჯაფარიძეს (დაბ:31.08.1977წ. პ/ნ 01030013655), მინდობილ პირს, ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას: იყოს ჩემი, როგორც შპს „ოსტატი"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 400145758) დირექტორის წარმომადგენელი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, მათ შორის გარემოს დაცვის სამინისტროში; საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მისდამი დაქვემდებარებულ სამსახურებში, ქ. თბილისის მერიაში და მისდამი დაქვემდებარებულ სამსახურებში; არქიტექტურის სამსახურში; ზედამხედველობის სამსახურში; სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში, ადგილობრივი თვითმმართველობის (გამგეობის) ნებისმიერ სამსახურში; დაამზადოს, შეაგროვოს, წარადგინოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, ამონაწერი, საკადასტრო რუკა/გეგმა, ნახაზი, პროექტი, ნებართვა და სხვა. უზრუნველყოს პროექტის შეთანხმება, სამშენებლო ნებართვის მიღება/გაგრძელება, ყველა საჭირო დოკუმენტის მომზადება/წარდგენა/მიღება შპს „ოსტატი"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 400145758) კუთვნილ უძრავ ქონებასთან (მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ავჭალის ქუჩა, N 7 გ. ს/კ 72.12.06.162 დაკავშირებით, აწარმოოს ცვლილებების რეგისტრაცია: შეიტანოს განცხადებები; თავისი შეხედულებისამებრ შეათანხმოს მშენებლობის პროექტი; აწარმოოს მშენებლობის აღებასთან/კორექტირებასთან/ვადის გაგრძელებასთან/ (მშენებლობა, რეკონსტრუქცია) მოითხოვოს, მიიღოს, წარადგინოს საჭირო დოკუმენტები, გაასაჩივროს ადმინისტრაციული აქტები, დადგენილებები/გადაწყვეტილებები, გაასწოროს ხარვეზები, გადაიხადოს მოსაკრებლები, შეიტანოს ნებისმიერი სახის განცხადება და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.მიმნდობს განემარტა, რომ იგი უფლებამოსილია ვადამდე გააუქმოს მინდობილობა და ამასთან, ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს მის მინდობილ პირს. წინამდებარე მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო ბიუროს არქივში.

მინდობილობის სანოტარო ეგზემპლარს თან ერთვის: ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი 06/06/2023წ., განცხადების # B23079972;საზოგადოების წესდება, დამოწმებული საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, დამოწმების თარიღი 25.05.2015, შტამპი 324 ასლი -ინახება ჩემს არქივში და დანართის სახით თან ერთვის მინდობილობას 17.01.2019წ, რეგ#190047829სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის გადახდევინებულია საზღაური: ჯამურად 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) , მათ შორის: 30 (ოცდათი) ლარი `სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე, სარეგისტრაციო მოსაკრებელი 5 (ხუთი) ლარი - ამავე დადგენილების 39.1 მუხლის საფუძველზე და დღგ 5.4 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

"მიმნდობი" ----------

ნოტარიუსი ელენა გელაძე